N შ-141
10/01/2022

141-გ-3-202201101525

შპს „საქართველოს მელიორაცია“

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სამუშაოების, საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე, ფინანსური დირექტორი - დავით ტეტუნაშვილი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კორპორაციული დირექტორი - გენადი კერძევაძე;

კომისიის წევრი, ტექნიკური დირექტორი - თენგიზ ლაკირბაია;

კომისიის წევრი, ექსპლუატაციის დირექტორი - გიორგი ხუბუა;

კომისიის წევრი, პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი - ლევან ტაბატაძე;

კომისიის წევრი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - ზურაბ მარაქველიძე;

კომისიის წევრი, ფინანსური დეპარტამენტის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი - ნინო ცუხიშვილი;

კომისიის წევრი, შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - თეიმურაზ ბექაური;

კომისიის აპარატის წევრი, ელექტრონული შესყიდვების სამსახურის უფროსი - თეონა ბეროძე;

კომისიის აპარატის წევრი, ელექტრონული შესყიდვების სამსახურის მსხვილი შესყიდვების კოორდინატორი (სხდომის მდივანი) - ნინო ჟიჟილაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა:

კომისიის წევრი, შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი - თენგიზ ნასარიძე.

დღის წესრიგი:

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს მიერ **კასპის მუნიციპალიტეტში „თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ70+48-დან პკ71+68-მდე მონაკვეთზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების, პკ29+77-დან პკ30+09-მდე არსებული აკვედუკის და პკ118+65 მოწყობილი წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაციის“ პროექტირება-მშენებლობის (Design-build)** შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე - NAT) სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, დავით ტეტუნაშვილმა, სატენდერო კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს კომისიის აპარატის წევრი ნინო ჟიჟილაშვილი.

კომისიის წევრებმა განიხილეს ინფორმაცია, ზემოაღნიშნული შესყიდვის ობიექტის პროექტირება-მშენებლობის (Design-build) სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსის, ლევან ტაბატაძის 24/12/2021წ. N შ-30053 მოხსენებითი ბარათით მოთხოვნილია **კასპის მუნიციპალიტეტში „თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ70+48-დან პკ71+68-მდე მონაკვეთზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების, პკ29+77-დან პკ30+09-მდე არსებული აკვედუკის და პკ118+65 მოწყობილი წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაციის“ პროექტირება-მშენებლობის (Design-build)** შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით - 294’131.00 (ორას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ას ოცდათერთმეტი) ლარი დღგ-ის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულ მოხსენებით ბარათს თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტები, თანდართული სატენდერო პირობების პროექტი და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 14.06.2017წ. N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

მოწვეულმა პირმა, პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსმა - ლევან ტაბატაძემ აღნიშნა, რომ განსახორციელებელი მომსახურება/სამუშაოების დაფინანსება განხორციელდება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო ტენდერი უნდა გამოცხადდეს სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესაბამისად.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაადგინეს:

- ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო პირობების პროექტი და ხელშეკრულების პროექტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.
- ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო პირობების პროექტით განსაზღვრული **კასპის მუნიციპალიტეტში „თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ70+48-დან პკ71+68-მდე მონაკვეთზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების, პკ29+77-დან პკ30+09-მდე არსებული აკვედუკის და პკ118+65 მოწყობილი წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაციის“ პროექტირება-მშენებლობის (Design-build)** შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 294’131.00 (ორას

ოთხმოცდათოთხმეტი ათას ას ოცდათერთმეტი) ლარით დღგ-ის გათვალისწინებით.

- სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი შეადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 0.4%-ს.
- დაევალოს სხდომის მდივანს ობიექტის პროექტირება-მშენებლობის (Design-build) (კლასიფიკატორის კოდი: 45200000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განთავსება.

დავით ტეტუნაშვილი

ფინანსური დირექტორი

გენადი კერძევაძე

კორპორაციული დირექტორი

თენგიზ ლაკირბაია

ტექნიკური დირექტორი

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი

ზურაბ მარაქველიძე

დეპარტამენტის უფროსი

ნინო ცუხიშვილი

საფინანსო - ეკონომიკური სამსახურის უფროსი

თეიმურაზ ბექაური

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

თეონა ბერიძე

სამსახურის უფროსი

ნინო ჟიჟილაშვილი

Georgian Ameliorati on LLC

Digitally signed by Georgian Amelioration LLC
Date: 2022.01.10 15:59:47 +04'00'

მსხვილი შესყიდვების კოორდინატორი

ლევან ტაბატაძე

უფროსი